საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №135/ნ
2015 წლის 13 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსების დებულებებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის №131 დადგენილებისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მარტის ბრძანება №31/ნ - ვებგვერდი, 27.03.2018წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესი და პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს №772 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **თამარ სანიკიძე**

დანართი

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) არეგულირებს ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დასაფინანსებლად კონკურსის გამართვის, საგრანტო განაცხადის შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშგების მონიტორინგის საკითხებს.
2. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსება მოხდება კონკურსის მეშვეობით, რომლის შედეგადაც გაუმჯობესდება სამეცნიერო კვლევების ხარისხი და ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა აკადემიურ საქმიანობაში.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერის გზით კვლევების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა, კვლევითი უნარ-ჩვევებისა და თემატური, ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება.

მუხლი 3. გრანტის გაცემის უზრუნველყოფა

1. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი და მის ფარგლებში გაცემული გრანტები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.

2. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები ევროპული კვლევების საბჭოს (European Research Council - ERC) კლასიფიკაციით დადგენილ შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:

ა) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;

გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;

დ) აგრარული მეცნიერებები;

ე) სოციალური მეცნიერებები;

ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო მიმართულებებში თანხის განაწილების წესს განსაზღვრავს ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18.05.2016წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 27 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი,02.03.2026წ.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის, ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ფონდი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ბ) კონკურსი – ამ წესით გათვალისწინებული დაფინანსების მოსაპოვებლად ფონდის მიერ ადმინისტრირებული პროცედურა;

გ) ახალგაზრდა მეცნიერი – საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში;

დ) მენტორი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერს ეხმარება მასპინძელ დაწესებულებაში პროექტის განხორციელებაში;

ე) კონსულტანტი – პირი, რომელსაც გააჩნია კვლევითი პროექტის კონკრეტული სამეცნიერო, მეთოდოლოგიური, ტექნიკური ან გამოყენებითი ასპექტების შესაბამისი სპეციალიზებული ექსპერტიზა/ცოდნა, პროფესიული კომპეტენციები და პრაქტიკული გამოცდილება და რომელიც სამეცნიერო კონსულტირებას უწევს ახალგაზრდა მეცნიერს კვლევის პროცესში სამეცნიერო/აკადემიური ზედამხედველობის, პროექტის მართვისა და კვლევების შედეგებზე პასუხისმგებლობის აღების გარეშე.

ვ) მასპინძელი დაწესებულება – საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ბაზაზეც ახალგაზრდა მეცნიერი განახორციელებს კვლევით და აკადემიურ საქმიანობას;

ზ) პროექტი – ახალგაზრდა მეცნიერის მიერ დაფინანსების მოპოვების მიზნით, ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

თ) ექსპერტი – პირი, რომელიც აფასებს საკონკურსოდ წარმოდგენილ პროექტს ამ წესით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია.

თ[1]) ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ი – ექსპერტებით დაკომპლექტებული ჯგუფ(ებ)ი, რომლებიც აფასებენ პროექტს ამ წესით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

ი) გრანტის მიმღები – ექსპერტთა და/ან ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის შეფასების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილი და დასაფინანსებლად დამტკიცებული ახალგაზრდა მეცნიერი და შესაბამისი მასპინძელი დაწესებულება.

კ) პროექტის ბიუჯეტი – ახალგაზრდა მეცნიერის მიერ კვლევისა და კვლევითი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების აღწერა, რომელიც მოიცავს სტიპენდიას, კვლევის ხარჯებს და ზედნადებს;

ლ) სტიპენდია – ახალგაზრდა მეცნიერის ყოველთვიური ანაზღურება, რომელიც ირიცხება მის პირად ანგარიშზე;

მ) კვლევის ხარჯები – მასპინძელ დაწესებულებაში პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც ირიცხება მასპინძელი დაწესებულების მიზნობრივ ანგარიშზე;

ნ) ზედნადები ხარჯები – მასპინძელი დაწესებულების არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც უკავშირდება პროექტის განხორციელებას;

ო) ტრანში – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული კონკრეტული საანგარიშო პერიოდისათვის გადასარიცხი/გადარიცხული თანხა;

პ) მიზნობრივი ანგარიში – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიში/ანგარიშები, რომელზეც მოხდება გრანტის თანხის ჩარიცხვა;

ჟ) საანგარიშო პერიოდი – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირები ახორციელებენ პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებასა და, ასევე, გრანტის ხარჯვას;

რ) საგრანტო ხელშეკრულება – ახალგაზრდა მეცნიერს, მასპინძელ დაწესებულებასა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

ს) პროექტის შეფასების კრიტერიუმები – პროექტის შესაფასებლად ამ დებულებით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების სათანადო მითითებით;

ტ) პროექტის მონიტორინგი – საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმება და საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენა ამავე საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან;

უ) შუალედური ანგარიში – საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირის მხრიდან ფონდში წარმოდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიში;

ფ) საბოლოო ანგარიში – საბოლოო ანგარიში მოიცავს პროექტის დასრულების შემდგომ გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირის მხრიდან ფონდში წარმოდგენილ საბოლოო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18.05.2016წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი,02.03.2017წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მარტის ბრძანება №31/ნ - ვებგვერდი, 27.03.2018წ.

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. ახალგაზრდა მეცნიერთა მიერ გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსის წესით. კონკურსს აცხადებს და ადმინისტრირებას უწევს ფონდი ამ წესითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.
2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას; კონკურსის პროგრამისა და პირობების, პროექტის ფორმების, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;

ბ) კონკურსის გამოცხადებას;

გ) კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას კონკურსის პირობებთან;

დ) პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფას;

ე) ექსპერტებისაგან და/ან ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისაგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით რანჟირებული სიების დადგენას მიმართულებების მიხედვით, გამარჯვებული პროექტების გამოვლენას და დამტკიცებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას.

ვ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას და დაფინანსებას;

ზ) საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18.05.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მარტის ბრძანება №31/ნ - ვებგვერდი, 27.03.2018წ.

მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები

1. კონკურსის ფარგლებში საგრანტო დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს ახალგაზრდა მეცნიერმა, რომელსაც დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში.
2. კონკურსში მასპინძელი დაწესებულების სახით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

3. კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერს უნდა ჰყავდეს მენტორი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერს დაეხმარება მასპინძელ დაწესებულებაში პროექტის განხორციელებაში. მენტორს უნდა ჰქონდეს პროექტის საკითხის შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. მენტორის საქმიანობა არ ანაზღაურდება ფონდის მიერ.

4. კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერს შესაძლებელია ჰყავდეს კონსულტანტი.

5. პროექტის ხანგრძლივობაა 2 წელი. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული მომართვის წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია პროექტის ხანგრძლივობა გააგრძელოს მაქსიმუმ 1 წლის ვადით, დამატებითი დაფინანსების გარეშე.

6. კონკურსის შედეგად შეიძლება დაფინანსდეს ამ წესის მესამე მუხლის მეორე პუნქტში განსაზღვრულ მიმართულებებში წარდგენილი პროექტები.

7. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ტრანშის სახით, 6-თვიანი საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით ხდება გრანტის გადარიცხვა. სტიპენდიის თანხის ჩარიცხვა ხდება ახალგაზრდა მეცნიერის პირად ანგარიშზე, ხოლო კვლევისთვის საჭირო თანხა და ზედნადები ირიცხება მასპინძელი დაწესებულების მიზნობრივ ანგარიშზე.

8. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

9. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

10. პროექტში შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია ჩართული იყოს დამხმარე პერსონალი: მასპინძელი დაწესებულების ლაბორანტი, ბაკალავრიატის სტუდენტი, ბაკალავრი, მაგისტრანტი, მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი და დოქტორანტი.

11. ახალგაზრდა მეცნიერს კონკურსში გრანტის მიღება შეუძლია მაქსიმუმ ორჯერ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი,02.03.2017წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მარტის ბრძანება №31/ნ - ვებგვერდი, 27.03.2018წ.

მუხლი 7. პროექტის ბიუჯეტი

1. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 35 000 ლარს, ორ წელიწადში –70 000 ლარს.
2. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდიას (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 17 000 ლარს);

ბ) კვლევითი საქმიანობის ხარჯები (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 16 000 ლარს), რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

ბ.ა) ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯებს;

ბ.ბ) დამხმარე პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს;

ბ.გ) საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯებს;

ბ.დ) პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯებს;

ბ.ე) სამეცნიერო ღონისძიებასა (კონფერენცია, კონგრესი, სემინარი, ვორკშოპი, ტრენინგი და სხვა) და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები (რეგისტრაციის გადასახადს, საცხოვრებელ და დღიურ ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯი);

ბ.ვ) პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯები;

ბ.ზ) კომპიუტერული და კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯი;

ბ.თ) კვლევის შედეგების პრეზენტაციის ხარჯი;

გ) ზედნადები ხარჯი (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 2000 ლარს).

3. შესაძლებელია თანადაფინანსების არსებობა. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდა მეცნიერმა უნდა წარმოადგინოს თანადაფინანსების არსებობის დამადასტურებელი წერილი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 18 მაისის ბრძანება №67/ნ - ვებგვერდი, 19.05.2026წ.

მუხლი 8. საგრანტო კონკურსის ეტაპები
საგრანტო კონკურსის ეტაპებია:
ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ფონდში წარდგენა;

გ) პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა;

დ) პროექტების შეფასება;

ე) ექსპერტთა შეფასების საფუძველზე მიმართულებების მიხედვით შედგენილი რანჟირებული სიებიდან, კონკურსის ბიუჯეტის გათვალისწინებით, გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება;

ვ) ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროექტის წარმდგენ ახალგაზრდა მეცნიერთან და მასპინძელ დაწესებულებასთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18.05.2016წ.

მუხლი 9. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ფონდში
1. პროექტის წარდგენა ფონდში ხორციელდება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადების დაცვით, რომლის გასვლის შემდეგ პროექტები ფონდში აღარ მიიღება.
2. პროექტი ფონდში წარდგენილი უნდა იქნეს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად;

3. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი:

ა) რომელიც არ აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს;

ბ) რომელიც არ შეესაბამება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროექტის ფორმას;

გ) რომელსაც არ ერთვის ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პროექტზე დასართავი დოკუმენტაცია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადაში არ იქნება წარდგენილი ფონდში;

დ) რომელიც შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 10. პროექტების შეფასება
1. ფონდი უზრუნველყოფს პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას.
2. ექსპერტი და/ან ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ი პროექტებს აფასებს ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

3. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების წესს.

4. ექსპერტი პროექტების შეფასებას ახდენს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად და ფონდის მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე.

5. კონკურსის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა მეცნიერის მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდი მას გააცნობს მისი პროექტის შესახებ ექსპერტთა მიერ გაკეთებულ დასკვნებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18.05.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მარტის ბრძანება №31/ნ - ვებგვერდი, 27.03.2018წ.

მუხლი 11. პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. ექსპერტთა და/ან ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ პროექტი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები და განმარტებები	C-	C	C+	B-	B	B+	A-	A	A+	**შეფასება (A/B/C)კრიტერიუმის მიხედვით**
1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1** **მაქსიმუმ 9 ქულა**
1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება 1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები 1.3. კვლევის მეთოდოლოგია 1.4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა 1.5. ინტერდისციპლინურობა										
2. სამეცნიერო გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1** **მაქსიმუმ 9 ქულა**
2.1. ახალგაზრდა მეცნიერის სამეცნიერო პროდუქტიულობა (სტატიები, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში) 2.2. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა										
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1** **მაქსიმუმ 9 ქულა**
3.1. პროექტის გეგმა-გრაფიკის (ეტაპების, ვადებისა და განხორციელების გზების) განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3.2. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3.3. წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან										
ქულების ჯამი:										**მინიმუმ 3** **მაქსიმუმ 27 ქულა**

შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ (ექსპერტის შემაჯამებელი შეფასება სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად); □ A □ B □ C
შემაჯამებელი კომენტარი პროექტის შესახებ (ექსპერტის შემაჯამებელი კომენტარი სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად):

2. თითოეული კრიტერიუმი ფასდება 9-ქულიანი სისტემით (1-9), სადაც 1-3 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 4-6 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 7-9 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 27 ქულა.

კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	**შეფასება ABC კატეგორიით**	**შეფასება**	**განმარტება**
1	C-	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები.
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია
6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
8	A	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

3. შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ შესაბამისობაში უნდა იყოს 1-3 კრიტერიუმის 9-ქულიანი (1-9) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	**ABC კატეგორია**
21-27	A
10-20	B

3-9	C

4. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 15 ან მეტი ქულა. თუ პროექტის შეფასება პირველ კრიტერიუმში (სამეცნიერო-კვლევითი პროექტი) არის „C“, პროექტი არ განიხილება დასაფინანსებლად მიუხედავად ჯამური ქულების ოდენობისა.

5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18.05.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი,02.03.2017წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მარტის ბრძანება №31/ნ - ვებგვერდი, 27.03.2018წ.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

1. არ შეიძლება ექსპერტი იყოს პირი:

ა) რომელიც არის კონკურსის მონაწილე;

ბ) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ახალგაზრდა მეცნიერთან ან მონაწილეობს მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

გ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში;

დ) რომელიც არის ახალგაზრდა მეცნიერის კვლევის/შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ე) რომელიც არის ახალგაზრდა მეცნიერის ნათესავი, ნათესავად ჩაითვლება:

ე.ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ე.ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ე.გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

ე.დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია, ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18 .05.2016წ.

მუხლი 13. პროექტების დამტკიცება

1. ფონდი ამტკიცებს ექსპერტთა და/ან ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის შეფასების საფუძველზე მიმართულებების მიხედვით შემდგარი რანჟირებული სიებიდან გამარჯვებულ პროექტებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პროექტები მტკიცდება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18 .05.2016წ.

მუხლი 14. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცების შემდგომ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას.

მუხლი 15. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი პროექტის დასრულების შემდგომ ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
2. ფინანსური მონიტორინგის დროს ფონდი:

ა) ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული ხარჯების საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობის შემოწმებას ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

ბ) ეყრდნობა მასპინძელი დაწესებულების მიერ წარდგენილი კვლევითი გრანტის ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს დედანის, ფოტოასლების, ან ელექტრონული (დასკანირებული) სახით.

3. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლებელია დაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდში;

დ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებული რესურსის, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს.

4. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით წინა ტრანშის შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშის განხილვის აქტის საფუძველზე და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მარტის ბრძანება №31/ნ - ვებგვერდი, 27.03.2018წ.

მუხლი 16. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდის წესდებით და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად შეწყდება პროექტი), თუ:

ა) გაუქმდა შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია, ან მოხდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ლიკვიდაცია;

ბ) გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ან/და ანგარიშში წარმოადგინა ყალბი ინფორმაცია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის გრანტის მიმღები ფიზიკური პირის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დააბრუნოს მისთვის გადარიცხული, ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიის აუთვისებელი ნაშთი.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის გრანტის მიმღები იურიდიული პირის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მასპინძელი დაწესებულება ვალდებულია სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დააბრუნოს მისთვის გადარიცხული, ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის აუთვისებელი ნაშთი.

5. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში ფონდში წარმოდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, ფონდის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები, მხარეთა შორის გაფორმებულია შედარების აქტი და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი,18 .05.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მარტის ბრძანება №31/ნ - ვებგვერდი, 27.03.2018წ.